ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

45 (9985) • 13 dekemberi • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად კოტე შარაშენიძე დაინიშნა

გაზეთი „ალიონი“

6 დეკემბერს, საკმაოდ ხმაურიანი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. ჯერ იყო და მას შემდეგ, რაც ოზურგეთის საკრებულოს გამოკლებული წევრის თემურ სალუქვაძის ნაცვლად დიმიტრი კვერღელიძის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება ცნეს დეპუტატებმა, მან საკრებულოს ტრიბუნიდან საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა და საკრებულოს თავმჯდომარეს ალეკო მამეშვილს თანამდებობიდან გადადგომისკენ მოუწოდა.

შემდეგ დეპუტატებს კენჭი უნდა ეყარათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ილია ვაშაყმაძის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის. ალეკო მამეშვილმა დადებითად შეაფასა ილია ვაშაყმაძის საქმიანობა და შემდეგ დეპუტატებს კენჭისყრისკენ მოუწოდა.

დეპუტატმა ღელა ნაცვალაძემ დასვა შეკითხვა, –თუ ვაშაყმაძე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, რატომ ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან ან რატომ იყო პროკურატურაში დაბარებული. მამეშვილმა „საბუთად“ ილია ვაშაყმაძის ერთწინანდადებიანი (მან ასე წაიკითხა) განცხადება „მოიშვალია.“ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებების კამერები აფიქსირებდნენ სხდომის მიმდინარეობას, დეპუტატების უმეტესობას ვაშაყმაძის გათავისუფლებაზე ხელი არ აუწევია...

შემდეგ მამეშვილმა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე კოტე შარაშენიძე წარადგინა და მოკლედ მისი ბიოგრაფია გააცნო დეპუტატებს.

–მე რომ „ქართული ოცნების“ წევრი არ გამხდარიყავი, ეს ღალატის ტოლფასი იქნებოდა. როგორც ბიძინა ივანიშვილი მოგვიწოდებდა, ჩვენ სამშობლოს ვკარგავდით. ჩვენ გავიმარჯვეთ ამ არჩევნებში. ოზურგეთლებმა აკადემიურად შეასრულეს ბიძინა ივანიშვილის მოწოდება და ახლაც ცივილურად მიჰყვებიან მოვლენებს. მე აქ არ მოვსულვარ პოლიტიკური დივიდენდებისთვის. მე მინდა საქმის კეთება და ამყევით საქმეში.– განაცხადა კოტე შარაშენიძემ.

ამ გამოსვლას დეპუტატ ღელა ნაცვალაძის რეპლიკა მოჰყვა:–როგორ ითანამშრომლებ იმ ადამიანებთან, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს და მის მხარდამჭერებს მოღალატეებს უწოდებდნენ? შეისწავლის თუ არა სოფლის განვითარების პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე ფულის ხარჯვის კანონიერებას და ა.შ. თუმცა შარაშენიძე პოლემიკაში აღარ ჩაბმულა.

შარაშენიძის კანდიდატურას 32 დეპუტატიდან 30 დეპუტატმა მისცა ხმა. ხმის მიცემიდან თავი ირინა სავჯაიამ და ღელა ნაცვალაძემ შეიკავეს.

საკრებულოს დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ კოტე შარაშენიძემ პასუხები გასცა მედიასაშუალებების მიერ დასმულ შეკითხვებს, ხოლო შემდეგ ამ დღეს მის საქმიგად მისულ თანაპარტიელების მილოცვები მიიღო.

გამგებლის მოადგილედ გიორგი ღურჯუმელიძე დაინიშნა

გუშინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ ხელი მოაწერა განკარგულებას გიორგი ღურჯუმელიძის გამგებლის მოადგილედ დანიშვნის შესახებ. მან ამ პოსტზე მიხეილ გოგოტიშვილი შეცვალა, რომელმაც საკუთარი ნებით დაწერა განცხადება გათავისუფლების შესახებ.

გიორგი ღურჯუმელიძე: – დავიბადე 1988 წლის 17 ოქტომბერს ქ. ბათუმში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამაჩემი დავით ღურჯუმელიძე ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკია; დედა – ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტი. დავამთავრე ქ. ოზურგეთის №4 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა გავაგრძელე ქ. თბილისში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიზნესადმინისტრირების სპეციალობით. ერთი წელი ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალ პროფკავშირში, საფინანსო და ქონების მმართვის განყოფილებაში სტაჟიორად. წელს მაისიდან ვმუშაობდი კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისმენეჯერად.

არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. მუნიციპალიტეტში გამგებლის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე შვიტანე განცხადება.

–რა პროგრამა გაქვთ?

–ჩემი სამსახურის მიმართულება ინფრასტრუქტურაა. მოსაგვარებელია წყლის და გზების პრობლემები. სოფლის პროგრამები იყო დაწყებული და გადავხედავთ, როგორაა შესრულებული. წლის ბოლოა და ფაქტიურად მათში ვერანაირ ცვლილებას ვერ გავაკეთებთ. რაც შეეხება მომავალ წელს, ამჟამად ბიუჯეტის დაგეგმვა მიმდინარეობს, ჩავერთვებით ამ პროცესში და შევეცდებით მოვაგვაროთ ის უპირველესი პრობლემები, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის გადასაწყვეტი. მოკლედ გადავხედავთ გაკეთებულს და გასაკეთებელსაც, მაგრამ ისე გაკეთებული არაფერი არ ეტყობა ამ რაიონს–განაცხადა გაზეთ

„თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობა

9 დეკემბერს საქართველოს თავისუფალი დემოკრატების ყრილობა გაიმართა. ყრილობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და არაერთი უცხოელი სტუმარი ესწრებოდა.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით ირაკლი ალასანია გამოვიდა. პარტიის ანგარიში პარტიის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჩიქოვანმა წარმოადგინა.

ყრილობას 750-მდე დელეგატი დაესწრო, აქედან 15 ოზურგეთიდან.

პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი ქადაგიშვილი დაინიშნა. აირჩიეს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში გურიის თავისუფალი დემოკრატების ლიდერი თემურ სალუქვაძე აირჩიეს. იგი საქართველოს „თავისუფალი დემოკრატების“ რეგიონული მართვის მდივანია.

დიმიტრი კვერღელიძის სიტყვა საკრებულოს სხდომაზე

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ თემურ სალუქვაძეს საკრებულოში მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

რაც შეეხება ბატონი ალეკოს მიერ არაერთგზის გაჟღერებულ წინადადებებს, როგორც პრესაში, ისე ჩემთან საუბარში, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე, მე მინდა მას განვუმარტო, რომ ის ხალხს საკრებულოს თავმჯდომარედ არ აურჩევია. საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეთ თქვენ, საკრებულომ.

გვ-2

ოზურგეთი-შემოქმედის გაზსადენის ახალი ხაზი ექსპლოატაციაში გავიდა

სამი თვეა შპს „ჯორჯიან იუნიონ-2002“ სოფ. შემოქმედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზიფიკაციის სამუშაოებს ასრულებდა.

კვრიკეთი-წითელმთა-შემოქმედის ახალი ხაზი, რომლის ერთი ხაზი სოფ. წითელმთაში სოფ. მაკვანეთის საზღვრამდე მიდის და ამის გარდა კიდევ 9 სხვა საუბნო განშტოება აქვს, 10 კილომეტრი სიგრძისაა და იგი მიწისქვეშ, ახალი ტექნოლოგიებითაა გაყვანილი. ახალი გაზსადენის მთელ სიგრძეზე თითოეულ ოჯახთან დამონტაჟებულია გამანაწილებელი ყუთი, საიდანაც ცალკეულ ოჯახებში ბუნებრივი აირის შეყვანა იქნება შესაძლებელი.

შპს „ჯორჯიან იუნიონი“(გენერალური დირექტორი გოჩა ხარშილაძე, პროექტის ავტორი ზურაბ მესხია, სამუშაოთა მწარმოებელი ზურაბ შარაშიძე) ერთ-ერთი წარმატებული სამშენებლო ორგანიზაციაა საქართველოში. ოზურგეთის ტერიტორიაზე ისინი ამჟამად დაბა ნასაკირალში აწარმოებენ გაზის ახალი ხაზის გაყვანის სამუშაოებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 დეკემბერი, ხუთშაბათი	14 დეკემბერი, პარასკევი	15 დეკემბერი, შაბათი	16 დეკემბერი, კვირა	17 დეკემბერი, ორშაბათი	18 დეკემბერი, სამშაბათი	19 დეკემბერი, ოთხშაბათი
ღრუბელი +11+17	ღრუბელი +7+16	ძლიერი წვიმა +4+18	წვიმა +1+7	ღრუბელი +2+8	ღრუბელი +6+9	ღრუბელი +7+11

დიმიტრი კვერღელიძის სიტყვა საკრებულოს სხდომაზე

ბატონმა ალეკომ თავისი მუშაობის მოცემულ პერიოდში ეს საკრებულო დააცილა იმ პრინციპს რასაც ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ ითვალისწინებს. საკრებულო მთელი ამ ხნის განმავლობაში არ იყო საჯარო და ხალხთან ანგარიშვალდებული. მთავარი პრინციპი იყო დარღვეული, საკრებულო დამოუკიდებლად არ იღებდა იმ მთავარ საფინასო დოკუმენტს, რომელსაც ბიუჯეტი ჰქვია. აუცილებელია, საკრებულოში, როგორც ლეგიტიმურ ორგანოში, გაიზარდოს მოსახლეობის, მასმედიის ჩართულობა. ღია გახდეს საკრებულოს მუშაობა და ხალხი მეტად ინფორმირებული იყოს. ამიტომ მე მინდა ბატონ ალეკოს შევახსენო, რომ ის წარმოადგენს იმ პოლიტიკურ გუნდს და მის მხარდამჭერებს, რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები წააგო შემდეგი მიზეზების გამო:

ბიზნესის წაქცევის, ფინასური მონოპოლიების გამო;

სახელმწიფო მოხელეების დიდი ჯგუფის საეჭვოდ გამდიდრების გამო;

სახელმწიფო სახსრების უპასუხისმგებლო ხარჯვის გამო;

რაც ყველაზე აქტუალურია, ცოცხების არამიზნობრივად გამოყენების გამო.

ბატონო ალეკო, შეგახსენებთ, რომ თქვენ ხართ იმ ადამიანის პროტეჟე, რომელმაც წლების განმავლობაში ოზურგეთს თავი დაამახსოვრა თავისი უზნეობით, ბილწსიტყვეობით, რაც თქვენც გიწვნევიათ საკუთარ თავზე ალბათ.

თქვენ, ბატონო ალეკო ნაცვლად იმისა, რომ ფიქრობდეთ, როგორ მოიზიდოთ სახსრები, ამისთვის დადიოდეთ ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკის სამინისტროში, დადიხართ პოლიტიკურ ბოსებთან და თქვენი სკამის გამაგრებაზე ფიქრობთ...

ამიტომ, მე თქვენ გირჩევთ, რომ გადადგეთ!

საქართველო გაეროს კონვენციას უნდა შეუერთდეს

მარი კოძოევი

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლ-ობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში, თბილისში, არაერთი ღონისძიება მოეწყო. სამ დეკემბერს სპორტის სასახლეში გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად გურიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი მიიწვიეს.

სპორტის სასახლეს სტუმრები მრავლად ჰყავდა. აღნიშნულ ღონისძიებას ყველა რეგიონის ორგანიზაციები ესწრებოდნენ.

მათთან შესახვედრად სხვა უამრავ სტუმართან ერთან სხვადასხვა ქვეყნის ელჩებიც მივიდნენ.

ღონისძიება კალათბურთის თამაშით დაიწო. თამაში ინტეგრირებული ხასიათის იყო და მასში არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იღებდნენ მონაწილეობას.

სპორტული ღონისძიების შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციის ბენეფიციარებმა საკუთარი, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს. ოზურგეთლებმა გამოფენაზე ნახატები, ნაქარგები, სამკაულები და სხვა საკუთარი ხელით შექმნილი ნივთები წარმოადგნეს. ამბობენ, რომ მათი ნამუშევრები დამთვალიერებლებს ძალიან მოეწონა. აქვე აღნიშნავენ, რომ საინტერესო ნამუშევრები ჰქონდათ წარმოდგენილი სხვა ასოციაციის ბენეფიციარებსაც.

სპორტის სასახლეში ღონისძიებების დასკვნითი ნაწილი კონცერტი იყო.

როგორც გურიის რეგიონის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, **რომან ლომაძემ** გვითხრა,

შეხვედრაზე ბენეფიციართა მხრიდან გაიჟღერა მოთხოვნამ ხელისუფლების მისამართით. ითქვა, რომ საქართველო უნდა შეუერთდეს და ალიაროს კონვენცია, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. ეს ითვალისწინებს ვალდებულებას, რომელიც უნდა აიღოს სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვის კუთხით, ეს იქნება განათლების, კულტურის ,კეთილმოწყობის თუ დასაქმების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ საქართველოს გაეროსაგან თხოვნა უკვე ექვსი წელია აქვს მიღებული,

მაგრამ ჩვენს მხარეს კონვენციისთვის ხელი ჯერ არ მოუწერია. „იმედია ამ საკითხით ახალი ხელისუფლება დაინტერესდება და დადებითად გადაწყვეტს

„ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ღონისძიებები. ჩვენ 30 ნოემბერსაც ვიყავით მიწვეულები, როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები პრემიერ მინისტრ, ბიძინა ივანიშვილს ხვდებოდნენ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ წასვლა. 3 დეკემბერს ჩატარებულ ღონისძიებებზე საკუთარი ტრანსპორტით წავედით. მადლობა მინდა ვუთხრა საკრებულოს თავმჯდომარეს, ალეკო მამეშვილს, რომელმაც გზის ხარჯები დაგვიფინანსა. მადლობა ნატო ხომერიკს, რომელმაც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ორი სიმღერა მოამზადებინა ბავშვებს.

ღონისძიებების დასრულების შემდეგ ოზურგეთლებმა მათივე ასოციაციის ბენეფიციარი, მიშიკო ახვლედიანი საავადმყოფოში მოინახულეს. როგორც ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია გასულ ზაფხულს მიშიკო ბანაობისას მდინარემ ჩაითრია. მან წყალქვეშ ნახევარ საათზე მეტი გაატარა. მას შემდეგ მიშიკო მკურნალობის კურსს გადის.

—„იმედი გვაქვს გამოჯანმრთელდება და ახლო მომავალში დაგვიბრუნდება“— ამბობენ მისი მეგობრები ასოცოაციაში.

შეხვედრა ოზურგეთის ქალთა კლუბისა და ერთი ქალის მძიმე ისტორია

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული განვითარების კავშირის ოზურგეთის ოფისში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის წევრთა შეხვედრა 10 დეკემბერს, მოეწყო. სწორედ ამ დღეს დასრულდა ძალადობის საწინააღმდეგო აქციები, რომელიც 25 ნოემბერს დაიწყო აფხაზეთის საზღვართან, ხურჩაში შეხვედრით, 26-ში მოქალაქეებს დაურიგდა შესაბამისი ლიფლეტები და კალენდრები. აქციების კომპლექსში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ფონდი „სოხუმი“ მონაწილეობდა. ოზურგეთში შეხვედრაზე პროექტის ასისტენტმა მანანა ლეშკაშელმა ზუგდიდის რ-ნის სოფელ ხურჩაში ნაციონალური კერძების გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა ოზურგეთის კლუბს, შეხვედრაში აქტიური მონაწილეობისა და გურული კერძების საუკეთესოდ წარმოჩენისათვის. შეხვედრაზე იმ მიკროპროექტებზე ისაუბრეს, რომლის განხორციელებასაც ოზურგეთის ქალთა კლუბი გეგმავს მიმდინარე წლის ბოლოს და შემდგომ. ისაუბრეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და იმ დამოკიდებულებებზე, რომლებიც ამ პროცესების ირგვლივ არსებობს. შეხვედრას ესწრებოდა ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა, უკვე რამდენიმე თვეა შეწყალებით გათავისუფლდა. მან საკუთარ თავს უსამართლო კანონის მსხვერპლი უწოდა და იმ უმძიმეს პროცედურებზე ისაუბრა, რომელიც მის მიმართ ხორციელდებოდა გარკვეული ხნის განმავლობაში, ანუ ბრალი, რომელსაც ვერ უმტკიცებდნენ და ბრალის აღიარება ძალდატანებით.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დღის აღსანიშნავად, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა მოაწყო თვითნაკეთი ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა და შემდეგ საჯარო დებატები რეზოლუციაზე: „გენდერული თანასწორობა გამართლებულია, ქალის საქმე მარტო ოჯახი და შვილებია?!“

ღონისძიებას ნონა სადრაძე უძღვებოდა.

დებატებში მონაწილეობდნენ მოსწავლები, რომლებმაც გამოავლინეს დიდი განათლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ახალგაზრდული ცენტრი „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ბაზაზე ფუნქციონირებს, პროგრამის —„ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საგენტოს (**usaid**) მიერ.

ციცო ტულუში

პროექტი პირობითმსჯავრდებულ ახალგაზრდათა მხარდასაჭერად

ნინო ნიკოლაიშვილი

— ეს იდეა გაგვიჩნდა მას შემდეგ, რაც ბატონმა სოსომ მოგვიყვანა რამდენიმე პირობით მსჯავრდებული ახალგაზრდა და გვთხოვა მათი გადამზადება უნარების მიხედვით — განაცხადა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად ერაძემ დარბაზის სხდომაზე. სხდომაზე თამარ ღლონტმა ახალი პროექტის „პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვანებისა და ახალგაზრდების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა“ მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა. პროექტი განხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ. განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია გურიის რეგიონში დემოკრატიული განვითარების კავშირი. მიზანი — პირობითმსჯავრდებულ ახალგაზრდათა რეინტეგრაცია; ეფექტური ინსტიტუციონალური მექანიზმებისა და სახელმძღვანელო მითითებების შექმნა მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება.

დასაქმების პროგრამა; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; მიკრო-გრანტების პრგრამაში ჩართვა; სოციალური მარკეტინგის კამპანია.

დარბაზის სხდომაზე მიწვეულია რასამთავრობო ორგანიზაციათა, შესაბამის უწყებათა წარმომადგენლებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მოსალოდნელ სირთულეებსა და იმ დადებით შედეგებზე, რომელსაც პროექტის წარმატებით განხორციელება გამოიწვევს.

ჩემი გულისტკივილი, ანუ შეჩერდით ხალხნო!

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, ჯემალ კეჭაყმაძის გამოხმაურება ტელეკომპანია მე-9 არხის ერთი გადაცემის გამო.

მე, როგორც მოქმედი მსახიობი, არ ვიქნები მართალი კაცი, რომ არ გამოვეხმაურო ტელეკომპანია მე-9 არხის ეთერით 29 ნოემბერს სატელევიზიო გადაცემას, რომელიც ჩვენი თეატრის კოლექტივის დამცირებას ისახავდა მიზნად.

დარწმუნებული ვარ, ვინც ეს გადაცემა ნახა და ჩვენი თეატრის გულშემატკივარია, გაოგნებული დარჩა. ხოლო რაც შეეხება ჩემს პირად განწყობას, გეტყვით, რომ 73 წლის კაცი, რომელსაც უამრავი ქარტეხილი მაქვს გამოვლილი, კიდევ ერთხელ შეურაცხმყვეს, დამამცირეს და საგონებელში ჩამაგდეს. რამდენად საწყენია, რომ პირადი პიარისთვის დაუპირისპირდე კულტურის სფეროს ისეთ წარმომადგენელს, როგორიც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის აღიარებული კოლექტივია.

დღეს აქ მოღვაწეობს საქართველოს სახალხო არტისტი გაბრიელ მდინარაძე, დამსახურებული არტისტები ქალბატონი ზაირა თოთიბაძე, ომარ ურუშაძე, ნუგზარ ბარამიძე, კულტურის დამსახურებული მუშაკი იური ჯიჯიეშვილი და სხვები..

დიახ, მოგმართავთ თქვენ, აღნიშნული სიუჟეტის შემქნელებს, როცა ამ სიუჟეტს ამზადებდით (სპექტაკლებს არ ესწრებით), ერთხელ მაინც თვალი გადაგევლოთ ამ თეატრის ისტორიისათვის, გაცნობოდით 150-წლიანი თეატრის განვლილ გზას, თეატრმცოდნეების და კრიტიკოსების უამრავ შეფასებებს და შემდეგ მოგემზადებინათ სიუჟეტი. თუმცა, როგორც ჩანს, თქვენ სხვა განწყობა გამოძრავებდათ.

შევეცდები, მოკლედ გითხრათ: პირადად მე ამ თეატრში 1958 წელს მივედი და დღემდე იქ ვარ. ვამაყობ, რომ მსახიობი ვარ, მქონდა პატივი ისეთი ადამიანების, თეატრის კორიფეების გვერდით მემოღვაწა, როგორებიც იყვნენ, ბატონები: ევტროფი თალაკვაძე, ბეჟან ნაკაიძე, ქალბატონი ლამარა თურმანიძე, უამრავი ნიჭიერი თაობა და ერთ მუჭად შეკრული ნიჭიერი დასი. დიახ, ოზურგეთის თეატრი კულტურის ის კერაა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება და საყოველთაო აღიარება აქვს.

1989 წლის 9 აპრილის მომდევნო დღეებში, როცა გაზით მოწამლულთა სოლიდარობის ნიშნად საქართველოში საყოველთაო შიმშილობა დაიწყო, ოზურგეთის აქციაში თეატრის კიბეებზე სხვებთან ერთად თეატრის 11 თანამშრომელი შიმშილობდა. როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, ოზურგეთში შეიქმნა მოხალისეთა რაზმი, რომელშიც პირველები თეატრის თანამშრომლები გაერთიანდნენ. მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩით. მიუხედავად ომისა, მუშაობისთვის რთული პირობებისა, თეატრი შემოქმედებითად მოღვაწეობდა, მაყურებლებს უჩვენებდა ეროვნულ დადგმებს. კერძოდ, „ჰე მამულო,“,„იყვნენ ასეთი ბიჭები“და ა.შ. მაყურებლები ცივ დარბაზში ისხდნენ თბილად ჩაცმულები, ხოლო თეატრის სცენაზე იდგნენ ნახევრად შიშველი მსახიობები და თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

საწყენია, რომ თქვენ თეატრის შენობის მეტს ვერაფერს ხედავთ. არადა ეს შენობაც რომ ამაყად დგას, ესეც ამ თეატრის ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომლებიც თქვენ სამსჯავროზე გამოიტანეთ. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე გვაქვს განათენები, რომ შენობა გადაგვერჩინა. თქვენ ალბათ არ იცით, რომ თქვენს მიერ გაქილიკებულ თეატრის კოლექტივს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სცენაზე წარმოუდგენია ჩვენი რეგიონი და სრულიად საქართველო. რეჟისორ ვასილ ჩიგოგიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „გამარჯობათ ხალხო,“ წარმოდგენილი იყო გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, თურქეთში, იუგოსლავიაში, ყოფილი სსრკ-ს ბევრ ქალაქში, შორეულ ბამზეც კი.

როცა სიუჟეტს ამზადებდით, იქნებ დაინტერესებულიყავით, რა პრობლემები გვაქვს, რას ვაპირებთ. ნუთუ ზოგისთვის თეატრი მაშინ ხდება საჭირო, როცა თავყრილობები აქვთ? იქნებ მოგვეყოლა, როგორ ვახერხებდით სიბნელეში, გაყინულ სცენაზე თამაშს, როცა ბოლო პერიოდამდე მსახიობის ხელფასი 30 ლარს შეადგენდა და ა.შ. თეატრის დასი ასე ქმნიდა ქართული თეატრის ისტორიას...

იქნებ მითხრათ, რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი, ოზურგეთის თეატრი თურმე „ერთი ნავიდან მეორე ნავში ხტებაო.“მიუხედავად იმისა, რომ თეატრში 50 თანამშრომლიდან რამდენიმე შეიძლება სხვაგვარად ფიქრობდეს, ამით როგორ უნდა შეაფასო მთელი კოლექტივი? ჩემის აზრით, ჩვენი თეატრის წევრებს არცერთ გამოხმაურებაში ქვეყანა არ მიუტოვებია. ჩვენ 2007 წლის ნოემბრის აქციებშიც ვმონაწილეობდით და 2011 წლის მაისის აქციებშიც. „ქართული ოცნების“მხარდასაჭერად არაერთ აქციაში მივიღეთ მონაწილეობა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში.

ოზურგეთლებმა იციან, ვის მისცა ხმა ოზურგეთის თეატრის კოლექტივმა. არა მარტო ჩვენ, იმ ადამიანებმაც, რომლებიც დაშინებით მიჰყავდათ ნაც-აქციებზე, იმათგან უმრავლესობამ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. შედეგიც სახეზეა, ხელისუფლებაში მოვიდა ის ძალა, რომელმაც ქვეყანა იხსნა დიდი განსაცდელისაგან.

ჩვენს თეატრს ნიჭიერი მსახიობი და გონიერი მმართველი ზაზა ჯინჭარაძე უდგას სათავეში. მას გვერდით უდგას გამოცდილი სამხატვრო ხელმძღვანელი ოთარ კუტალაძე. იმას, რომ თქვენ მომზადებულ სიუჟეტში იხსენებთ „კალანდობის“ სცენას ცხემლისხიდში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვინდოდა თუ არ გვინდოდა, იქ მყოფი მსახიობები თავიანთ პროფესიას ემსახურებოდნენ. შეიძლება სულაც არ გვაინტერესებდა ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობა, მაგრამ ეს ხვალინდელ დღეს არ წყვეტდა. თუნდაც, ბატონი ზაზას დამოკიდებულება სერიალებთან დაკავშირებით. მინდა აღვნიშნო, რომ თუ ვინმეს უფლება ჰქონდა ხელისუფლებასთან ეთანამშროლა, ეს გახლდათ თეატრის მმართველი. რატომ? იმიტომ, რომ რომ არა ბატონი ზაზას გამჭრიახობა, დღეს არათუ დასი, თეატრის შენობაც არ გვექნებოდა.

მოგმართავთ ყველას, ჟურნალისტი იქნება თუ ოპერატორი, შეჩერდით ხალხნო, ბოლოს და ბოლოს ერთხელ და სამუდამოდ მოეფერეთ იმ პროფესიონალ ადამიანებს, ვინც თეატრის სახეს წარმოაჩენს: უხელფასო, შეციებული, სანახევროდ ჩაცმულ-დახურული, მშიერ-მაძღარი თეტრის დასი.

ვაცხადებ, რომ თეატრის თანამშრომელთა უმრავლესობა, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკაში, მხარს უჭერს მას. მადლობა უფალს, ეს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმაც დაადასტურა. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა განვითარდეს ქართული ხელოვნება და სრულიად საქართველო.

ჯემალ კეჭაყმაძე.

მე მეყვარები სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგაც

შენთან ერთად თენდება დღე, შენთან ერთად ვხედავ, როგორ ამოდის მზე.

გიძღვნი მოფერებას მკრთალს და იმედით სავსეს, იმ რწმენით ვკრუხლობ, რომ შენ ყოველთვის ჩემთან იქნები. ჩვენ ყოველთვის ერთად მოვეფერებით ცისარტყელას, ერთად შევხედავთ მზის ჩასვლას. ისინი კი სითბოს და სიყვარულს გვაჩუქებს, მინდა ყოველთვის ახალგაზრდა და ღიმილიანი სახით დაგინახო, მაშინაც კი, როცა დიდი ტკივილი იქნება შენს გულში. გვჯეროდეს, ყოველთვის ვიფიქრებ შენზე, სიზმარშიც კი მოგეფერები. ნეტავ შემეძლოს ვიყვირო –მე მყავს დედა, მე ვარ ბედნიერი და ჩვენ ვიკრუხლებთ დიდხანს. შენს გარეშე ცხოვრებას აზრი არ აქვს, რადგან შენ ჩემს გულში ყველაზე დიდი ადგილი გიკავია. რამდენიმე დღეში ყველაზე ბედნიერად ვიგრძნობ თავს. მინდა ხელებს მოვეფერო და ვიყვირო –მიყვარხარ გულის გასვლით სულამდე.

ცხოვრება ჩემთვის არასოდეს დასრულდება, როცა შენ ჩემთან ხარ. ვცდილობდი გამეგო თუ ვის შეეძლო ტკივილიანი გულის გამხიარულება, ეს შენ ხარ დედიკო!!!

მინდა ვიყვირო, რომ მე შენ მეყვარები სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგაც.

ანი გოლიაძე,
წმ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ღირსეული მეგობარი

ამ მისალოცი ბარათს ჩვენ თან დავურთეთ ცოტა ადრინდელი დროის ფოტოსურათიც. ეს სათნო სახის ახალგაზრდა ქალი დღეს უკვე ასაკოვანი ქალბატონი გახლავთ, რომელმაც ბევრ განსაცდელს გაუძლო თავისი შესაშური მოთმინებით.

იზოლდა გოგუაძე ოზურგეთის რაიონის ღირსეულ ქალთა საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელია. მას ასეთი სახელი მხოლოდ მამის–ცნობილი სამეურნეო მუშაკის ბატონ დავით გოგუაძის ავტორიტეტით არ მოუპოვებია. იგი თავად არის ბევრი ისეთი თვისების მქონე, რაც ადამიანში მოსაწონი და დასაფასებელია. აღზრდილია შრომის სიყვარულით, სავსეა კეთილშობილებით და პატიოსნებით, ყველას მოკეთე და პატივისმცემელია. უმაღლესი განათლების მქონე მეაბრეშუმე აგრონომი უაღრესი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას და საზოგადოებრივ დავალებებსაც. იგი კვლავაც სათუთად ინახავს ამ ჯილდოებსა და სიგელებს, რომლებსაც ყოველთვის დამსახურებულად აკუთვნებდნენ.

ძიმითელი ქალიშვილი წითელმთიელების რძალი რომ გახდა, მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა. იყო სამაგალითო მეუღლე. ჩვენგან ნაადრევად წასული ნიჭიერი კაცის–მამია ერქომაიშვილის ქვრივი, ისევ თავზე მეტად უვლის ძველებურ ეზო-კარს, ოჯახს და მისი ტრადიციების უსაშველო ერთგულია.

არის კარგი ქალ-ვაჟის დედა. მისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ექვსი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილია.

ამ შემოდგომაზე მას 75 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ ჩვენს იზოლდას კიდევ დიდხანს და ჯანმრთელად ყოფნას. ჰქონდეს სიხარული და ბედნიერება შინ და გარეთ.

მეგობრების სახელით
გულსუნდა მახარაძე.

უცნაური პროტესტი „ჭადრების ბაღში“

ეს წარწერა ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ორი დღის წინ გაჩნდა:

„ნაციონალური მოძრაობა, 5
2003-2012
ოზურგეთლებისაგან“

წარწერა არჩევნების წინ „ნაციონალების“ მიერ ქალაქის ცენტრში გაჩაღებული მშენებლობისას გაუქმებელ სამშენებლო ნარჩენებით ავსებულ შადრევნის აუზზე წაყრილი მიწისგან შექმნილ ხელოვნურ ყორღანზეა აღმართული. ეს ყორღანი პრეზიდენტის მორიგი ვიზიტის წინ, სასწრაფოდ შექმნეს მშენებლებმა და ქალაქის ცენტრში ბაღის ერთ მონაკვეთზე დაჭაობებული ადგილი მივიღეთ. ასეთი საქმიანობით აწონებდა ხალხს თავს ოზურგეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა???!!!– ამბობენ წარწერის მხილველები.

მურმან ლებანიძე–90.

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის სამრევლო სკოლაში (დირექტორი, დეკანოზი მამა მათე (გორდელაძე), პოეტ–ქართული ლექსის აღიარებული ოსტატის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის–მურმან ლებანიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილე აღნიშნეს.

საიუბილეო დღის იდეის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი ზინა სალუქვაძე.

დარბაზში გამოფენილი გახლდათ სხვადასხვა ფოტოდოკუმენტები და ჟღერდა პოეტის ლექსებზე შესრულებული მუსიკა.

ქალბატონმა ნინო გოგეშვილმა მოიგონა გასული საუკუნის 80-იან წლებში ანასეულის ინსტიტუტში პოეზიის მოყვარულთა კლუბ „მთიების“ მიერ, (რომლის ერთ-ერთი წევრი თვითონაც გახლდათ) პოეტ მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილი საღამო და მის მიერვე გადაღებული ფოტოები წარმოადგინა.

გიმნაზიის აღსაზრდელებმა პეზიისადმი დიდი სიყვარული გამოამჟღავნეს და ერთმანეტს ეცილებოდნენ პოეტის ლექსების მხატვრულ კითხვაში (ლ. სიხარულიძე, ს. ანთიძე, ლ. მეგრელაძე, მ. გორდელაძე, ლ. მეფარიშვილი, ს. კალანდაძე, ზ. მენაბდე).

ღონისძიების სტუმრები გახლდათ საქართველოს პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე, ჟურნალისტები ეთერ ქადეიშვილი, ციცო ტულუში, ოზურგეთის უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ირმა სიორიძე.

სტუმრებმა გაიხსენეს პოეტის შემოქმედება. როზა გოგუაძემ და ეთერ ქადეიშვილმა ბიბლიოთეკას უსახსოვრეს წიგნები.

ამ სტრიქონების ავტორმა გაიხსენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელსაც მურმან ლებანიძე ხელმძღვანელობდა. ზემოთაღნიშნულის დასტურად წარმოადგინა უკანასკნელი რჩეული პოეტისა, სადაც ავტოგრაფში ნაზგასმულია, „ციცო.“

ამ საინტერესო საღამოზე საკუთარი ლექსი სასწავლებლის ექიმმა ნაირა ურუშაძემ წაიკითხა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხარეს სამრევლო სკოლის ხელმძღვანელებს და ღონისძიების ორგანიზატორებს პოეტ მურმან ლებანიძის პოეზიის პატივისცემისთვის.

ციცო ტულუში,
საქართველოს ჟურნალიტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ზოთა ბაბილოძე

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 46 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი შოთა ბაბილოძე.

შოთა ბაბილოძე ოზურგეთის თეატრის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც 9 აპრილის შემდეგ მოუწია ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა, რომელიც რთულ წლებთან იყო დაკავშირებული. უშუქობა, სიცივე, უხელფასობა, დადგმებისთვის ელემენტარული პირობების არ ქონა. შოთა ბაბილოძემ სწორედ ამ პირობებში შეასრულა თავისი პირველი როლები.

მან 1989 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ხოლო 2002 წელს ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი– მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის სპეციალობით, დრამატული თეატრის რეჟისორის კვალიფიკაციით (პროფესორ რევაზ მირცხულავას ჯგუფი).

ოზურგეთის თეატრში მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ იყო, რომელიც კარგად მიიღო მაყურებლებმა და თეატრმცოდნეების მაღალი შეფასებები მოჰყვა. მომდევნო წელს მან ეჟენ იონესკოს „მეფე კვდება“ დადგა.

შოთა ბაბილოძემ 2005-2007 წლებში ორი დადგმა განახორციელა: ჯონ ოსბორნის „მიმოიხედე მრისხანებისას“ და შალვა დადიანის „გუშინდელნი.“

2008 წელს ნიჭიერმა რეჟისორმა ნოდარ დუმბაძის მოთხრობების თავისუფალი გამოყენებით აღ. მითაიშვილის „გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები“ დადგა. იმავე წელს მან აკაკი წერეთლის „ბუტიაობაც“ შესთავაზა მაყურებელს.

2009 წელს სულ ახალი გადაწყვეტით განახორციელა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე.“ ასევე დადგა გ. ჩარკვიანის „სპილოები,“ ლაშა ბუღაძის „ნაფტალინი,“ ხოლო წელს განხორციელებული ცაგარელის „ონბაზი“ მისი ბოლო დადგმა დარჩა ოზურგეთის თეატრის სცენაზე.

შოთა ბაბილოძეს ლამაზი ოჯახი ჰყავდა. მისი მეუღლე ვერიკო ხუხუნაიშვილი თეატრის წარმატებული მსახიობია და არაერთ სპექტაკლში აქვს მთავარი და სხვა როლი განხორციელებული. მშობლების გზას გაჰყვა უფროსი ვაჟიშვილი მამუკა, რომელიც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

სამწუხაროა, რომ ნაადრევად გამოვეთხოვეთ რეჟისორს, რომელიც შემოქმედებით სიმწიფეში იყო და არაერთი მნიშვნელოვანი დადგმის გამხორციელება ჰქონდა ჩაფიქრებული.

ღმერთმა მოიხსენოს მისი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

2013 – გველის წელიწადი

ძველად ჩინელები მიიჩნევდნენ, რომ სახლში გველი ნიშნავდა იმას, რომ ამ ოჯახს შიმშილი არ შეაწუხებდა. ეს შეიძლება მივიღოთ, როგორ მეტაფორული გამოთქმა, რომელიც გულისხმობს, რომ გველის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს არ ექნება ოჯახში შიმშლობის პრობლემა, რადგანაც ის ფანტასტიური შუამავალია, რასაც კარგად იყენებს ბიზნესშიც. თუმცა თუ შიმშილის საშიშროება შეიქმნება, "გველი" შესწირავს და გაყიდის ყველა მისთვის ძვირფას ნივთს, რათა ოჯახს აარიდოს მსგავსი განსაცდელი. "გველი" ძალიან გამჭრიახი, ინტელიგენტი, ბრძენი და ეშმაკი პიროვნებაა.



გველის წელი

გველის წელი მოდის დრაკონის წელიწადის შემდეგ და 12 წელიწადში ერთხელ მეორდება. რადგან ჩინური ახალი წელი ყოველთვის ცვალებადია, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს თარიღი თუ როდის იწყება გველის წელი.

გველის ნიშანი

გველს" აქვს კარგი ინტუიცია, არის თვითდაკვირვებული. ისინი მიმზიდველი ადამიანები არიან, რომლებიც თავისუფლად ტირიან, თუმცა მათი აღელვება საკმაოდ რთულია. ისინი დახვეწილობით იქცევენ ყურადღებას, თუმცა აქვთ "ბნელი" მხარეებიც.

შორსმჭვრეტელი და მესაიდუმლე გველი ემოციურობით არ გამოირჩევა. მას აქვს უნარი იყოს ეშმაკი და მოხერხებული, იმუშაოს მშვიდად ბიზნესს გარემოში. "გველს" შეუძლია შემოატრიალოს ფაქტები მისთვის სასარგებლოდ. კომუნიკაბელურობით ვერ დაიკვეხნიან და ახასიათებთ ეგოიზმი, როცა საქმე პარტნიორს ეხება.

გველთან დაკავშირებული ფაქტები

გველის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები იზიარებენ რამოდენიმე საერთო თვისებას. ქვემოთ მოყვანილია გველთან დაკავშირებული რამოდენიმე ასპექტი.

ჩინური დასახელება - შ , გამჭრიახობის ნიშანი

საათი - 9 AM -10:59 A

თვე - მაისი

შესატყვისი დასავლურ ჰოროსკოპში - კურო

დამახასიათებელი ნიშნები

მოწესრიგებული, მცოდნე, ეშმაკი, ამაყი, პატივმოყვარე, უზნეო

სხვადასხვა სტიქიები

არსებობს ხუთი ტიპის გველი, რომელსაც ხუთი ელემენტი შეესაბამება. ესენია: ლითონი, წყალი, ხე, ცეცხლი და მიწა.

ლითონის გველი (1941 და 2001)

მეტალის გველი, ძალიან მონდომებული პიროვნებაა, რომელიც არაფერზე დაიხევს მიზნისკენ მიმავალ გზაზე. კრახისგან თავის დასაცავად, ისინი იყენებ თავიან "გონებრივ დაცვას" 24 საათის განმავლობაში. მათ კარგად ესმით ფულის მნიშვნელობა, თუმცა უფრო მეტად აფასებენ მათი ფინანსების წყალობით შეძენილ ნივთებს. მათ აქვთ უნარი მარტივად დააღწიონ თავი რთულ სიტუაციას. სიფრთხილეა საჭიროა ასეთი ტიპის "გველთან". მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება კეთილი იყოს, განსაცდელში მარტივად მიგატოვებთ.

წყლის გველი (1953 და 2013)

წყლის "გველი" გავლენიანი და შორსმჭვრეტელი პიროვნებაა. მათ მართვის კარგი უნარი აქვთ და ქვეშევრდომებს კარგად იყენებენ თავისთვის. მოტივაცია და ინტელექტი მათ საშუალებას აძლევთ მარტივად მიაღწიონ წარმატებას. ისინი ყოველთვის იღებენ სასურველს, მიუხედავად უარყოფითი გათვლებისა. "წყლის გველი" აღფრთოვანებულია თავისი ოჯახითა და მეგობრებით, თუმცა ყოველთვის მალავს ამ მხარეს კოლეგენთან და ბიზნეს პარტნიორებთან.

ხის გველი (1905 და 1965)

ხის ელემენტი, ისევე როგორც სხვა ნიშნებს, "გველსაც" სიმყარეს მატებს. სხვა ელემენტის "გველებისგან" განსხვავებით ხის გველი ნაკლებ პატივმყარე და ეგოისტია. მათ ბევრი მეგობარი ჰყავთ და ძალიან უყვართ თითოეული მათგანი. იშვიათია, როცა "გველი" რჩევებს თავისი საყვარელი ადამიანისგან იღებს, თუმცა "ხის გველს" ეს თვისებაც აქვს. ის ძალიან კეთილია.

ცეცხლის გველი (1917 და 1977)

„ცეცხლის გველს" უყვარს ხმამაღლა საუბარი და საკუთარი აზრის საზოგადოებისთვის თავზე მოხვევა. ის ექსტროვერტია. საუბრის დროს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ თანამოსაუბრეს. აქვთ დარწმუნების განსაკუთრებული ნიჭი. ამიტომაც ასეთი ადამიანები ეგოცენტრიკები არიან, თუმცა ამ თვისებით ცუდად არ მოქმედებენ სხვებზე. წარმატებას მარტივად აღწევენ.

მიწის გველი (1929 და 1989)

"მიწის გველი" ყველაზე მშვიდია, სხვა გველებისგან განსხვავებით ყველაზე რეალურად აფასებს ცხოვრებას. საკმაოდ რისკიანები და მეგობრულები არიან. სკერა, რომ შრომისმოყვარეობის წყალობით წარმატებას მიაღწევს.

საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვან-დოში

ქ. ფოთში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვან-დოში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ფოთის და თბილისის 2-2 სკოლის, ოზურგეთის, სენაკის, მარტვილის, ურეკის სასპორტო სკოლების ტაეკვან-დოს სექციის წარმომადგენლები. ტურნირი ფოთის მერიამ დააფინანსა და მასში 150 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ოზურგეთის სასპორტო სკოლა ჩემპიონატზე 4 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

45 წონით კატეგორიაში ჩემპიონი თემურ ღლონტი გახდა, ხოლო 55 კგ-ში რამაზ კახაძე; II ადგილი თულში (კატაში) და III ადგილი მასოგში (სპარინგი) ნინო ხუტულაშვილმა აიღო.

საუკეთესო ბრძოლა აჩვენა თემურ ღლონტმა. მან სამი ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო, აქედან ფინალი –ნოკდაუნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთში საბრძოლო ხელოვნების ამ სახეობას სკოლაშიც ასწავლიან სპორტის გაკვეთილად.

15-16 დეკემბერს ოზურგეთის ტაეკვან-დოს სასპორტო სკოლა ქ. თბილისში საერთაშორისო ტურნირშია მიწვეული, სადაც გასამგზავრებლად დაფინანსება ოზურგეთის სასპორტო სკოლიდან ეიმედება.

ირაკლი ტულუში

შავი ქამარი, I დანის მფლობელი ტაეკვან-დოში, სასპორტო სკოლის მწვრთნელი.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია და ოზურგეთის სტამბის ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან **ციალა გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ამირან, სპარტაკ მამულაიშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ ვალიდა, ლამზირი მექვაბიშვილებს უსაყვარლესი დის, უმშვენიერესი ქალბატონის **ვენერა მექვაბიშვილი-დოლიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru